



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/140

ქ. ბათუმი

07 დეკემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს პროფესორის ატესტაციის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ¹“ პუნქტის, 21-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის, 37²-ე მუხლის მე-5¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 62²-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 62⁵-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის“, ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის წესის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N06-01/110 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესორის და მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 07 ნოემბრის N07-01/49 გადაწყვეტილების, საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსის 2022 წლის 02 დეკემბრის N1540178 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის №06-02/23 სხდომის ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. 2022 წლის 07 დეკემბერს გამოცხადდეს ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ არჩეული პროფესორ კახაბერ ქაშიბაძის ატესტაცია (პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა).

2. პროფესორის ატესტაციის ჩატარებისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) 2023 წლის 9 იანვრიდან 11 იანვრის ჩათვლით - პროფესორის საატესტაციო განაცხადის და ამავე განაცხადში მითითებული სტატიების/ნაშრომების/სილაბუსების/სხვა დოკუმენტაციის ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით წარმოდგენა (საატესტაციო განაცხადი უნდა შეივსოს წინამდებარე დადგენილების N1 დანართის

შესაბამისად, ხოლო პროფესორის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების დამოწმება განხორციელდეს სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ მიწოდებული ფორმის შესაბამისად, დოკუმენტაციის წარმოდგენამდე - 2022 წლის 9-10 იანვარს);

ბ) 2023 წლის 12 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით - საატესტაციო კომისიის მუშაობა;

გ) **2023 წლის 18 იანვარი** - საატესტაციო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის წარდგენა ბსუ-ს აკადემიურ საბჭოსათვის და ატესტაციის შედეგის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება;

დ) არაუგვიანეს 2023 წლის 20 იანვარი - ატესტაციის შედეგის გასაჩივრება;

ე) არაუგვიანეს 2023 წლის 24 იანვარი - სააპელაციო კომისიის დასკვნის წარდგენა ბსუ-ს რექტორის/აკადემიური საბჭოს და დასაქმებულისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის;

ვ) არაუგვიანეს 2023 წლის 25 იანვარი - ატესტაციის შედეგების დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ.

3. დამტკიცდეს **ატესტაციის კრიტერიუმები**, წინამდებარე დადგენილების **N2 დანართის** შესაბამისად, პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ არჩევისათვის და საქმიანობის შეფასებისათვის ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობების/შეფასების კომპონენტების მიხედვით, რასაც ითვალისწინებს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესი“ და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“.

4. საკონკურსო-საატესტაციო კომისია (**შემდეგში - კომისია**) დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს მიერ, ატესტაციამდე არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში, რექტორის წარდგინებით.

5. საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ შეავსოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის **შეფასების ფორმა**, წინამდებარე დადგენილების **N3 დანართის შესაბამისად** და წარმოადგინოს ატესტაციის შედეგების შესახებ **დასკვნა**, წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში.

6. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

7. დადგენილება დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს და ბსუ-ს შესაბამის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

8. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30), ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს პროფესორის ატესტაციის გამოცხადების შესახებ“
 ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის N06-01/140 დადგენილების
 დანართი N1

ატესტაციის დაქვემდებარებული პირის ანკეტა
 (საატესტაციო განაცხადი)

1. პერსონალური ინფორმაცია:

სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
მისამართი (რეგისტრაციის და ფაქტობრივი)	
საკონტაქტო ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
ბსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობა ბოლო კონკურსის შედეგად	ბსუ-ს პროფესორი
უვალო შრომითი ხელშეკრულება (გაფორმების თარიღი, ნომერი და ამოქმედების ვადა)	

2. ინფორმაცია განათლების შესახებ (მიღებული კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი/დოქტორანტის სტატუსის შესახებ)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ფაკულტეტი)	საგანმანათლებლო პროგრამა/დიპლომის-შემდგომი სწავლება/პროფესიული მზადების პროგრამები (ერთსაფეხურიანი/მაგისტრატურა/რეზიდენტურა /დოქტორანტურა)	მიღებული კვალიფიკაცია - აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი და სადისერტაციო ნაშრომის დასახელება	PhD/ საკანდიდატო დისერტაცია/ ჰაბილიტაცია/სადოქტორო დისერტაციის დაცვის თარიღი	შენიშვნა (სხვა დამატებითი ინფორმაცია)

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

3. კლინიკური დისციპლინების მიმართულებით საექიმო საქმიანობის უფლება, დადასტურებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სერტიფიკატი:

სერტიფიკატის გამცემი დაწესებულება	სერტიფიკატის გაცემის თარიღი	სერტიფიკატის მოქმედების ვადა	სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

4. ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ (შენიშვნა: კლინიკური დისციპლინების მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებულს მოეთხოვება კლინიკაში მუშაობის არანაკლებ 9 წლის გამოცდილება):

დასაქმების ადგილი-დაწესებულების დასახელება	დაკავებული თანამდებობა/ძირითადი ფუნქცია	დასაქმების პერიოდი	წინამდებარე ანკეტის წარმოდგენის დროს მოქმედი შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა (შრომითი ხელის მოქმედების ვადა)

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

5. ინფორმაცია კლინიკური ბაზების შესახებ:

კონკურსანტის დასაქმების ადგილზე - კლინიკური ბაზის მფლობელი დაწესებულების დასახელება, სადაც შესაძლებელია ბსუ-ს სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა	კლინიკური ბაზის მისამართი/ადგილმდებარეობა	კლინიკურ ბაზაზე სასწავლო პროცესისათვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

6. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო-სამეცნიერო სამუშაო გამოცდილება (სწავლების/პედაგოგიური შრომითი აქტივობის ხანგრძლივობა), სულ ----- წელი

N	ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული/წაკითხული სასწავლო კურსების დასახელება (სწავლების გამოცდილება)	დაკავებული თანამდებობა/პოზიცია (აკადემიური თანამდებობა ან მოწვეული მასწავლებელი/ლექტორი)	შრომითი აქტივობის პერიოდი (წლები/თვეები)	შენიშვნა (სხვა დამატებითი ინფორმაცია)
1					
2					
3					

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

7. სასწავლო კურსები (სააუდიტორიო სამუშაოს სახე), რომელთა წაკითხვა შეუძლია ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში:

N	სასწავლო კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა (მიმართულება)	ლექცია	პრაქტიკული / ჯგუფში მუშაობა / სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო	კურსია
1						
2						
3						

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

8. სასწავლო კურსის სილაბუსი პროფესორის (ატესტაციას დაქვემდებარებული პირის) ავტორობით (შენიშვნა: მითითების შემთხვევაში თან უნდა დაერთოს საატესტაციო დოკუმენტაციას)

N	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლების პერიოდი (არსებობის შემთხვევაში)	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო დაწესებულება და პროგრამის დასახელება, სადაც ისწავლებოდა ამ სილაბუსის შესაბამისად
1			
2			
3			

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

9. პროფესორის (ატესტაციას დაქვემდებარებული პირის) მიერ გაწეული სასწავლო-მეთოდური საქმიანობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან)

N	სახელმძღვანელო /დამხმარე სახელმძღვანელო /საღეჭიო კურსი/რიდერი/სასწავლო მასალები (შენიშვნა: არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ ელექტრონული სახით)	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება პროფესორის ხელმძღვანელობით	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის პერიოდი	მაგისტრანტები სა და დოქტორანტების ხელმძღვანელობა	ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
1					
2					

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

10. პროფესორის (ატესტაციას დაქვემდებარებული პირის) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ბოლო 5 წლის განმავლობაში (ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან) გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები, ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი არაუმეტეს 5 პუბლიკაცია კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით):

№	პუბლიკაციის (ნაშრომის) დასახელება პირადი ავტორობით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	პუბლიკაციის თანავტორები (ასეთ შემთხვევაში მიუთითეთ კონკურსანტის და ყველა თანავტორის სახელი, გვარი)	სამეცნიერო ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება (ტიპი/ტომი, გვერდები და პუბლიკაციის ელ.მისამართი (არსებობის შემთხვევაში).	სამეცნიერო ჟურნალის სახე (რეფერირებადი/ Web of Science-ის ან Scopus-ის ბაზაზე შექმნილი იმპაქტ ფაქტორის მქონე)	გამოქვეყნების წელი
1						
2						

3						
---	--	--	--	--	--	--

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

10-1. საატესტაციო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი, ბოლო 5 წლის განმავლობაში (ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან) გამოქვეყნებული ნაშრომი (ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად)

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნებისწელი

11. სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი/ დოკუმენტები (სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს მონაცემები 2017-2018 სასწავლო წლიდან)

N	ბსუ-ში გაცემული შეფასების დოკუმენტი პროფესორის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასების შესახებ	შეფასების დოკუმენტის გაცემის თარიღი (სასწავლო წლები)	შენიშვნა (დამატებითი ინფორმაცია)
1			
2			
3			

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

12. მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებებზე ბოლო 5 წლის განმავლობაში (ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან)

N	მოხსენების სათაური	სამეცნიერო ღონისძიების სტატუსი (ადგილობრივი/საერთაშორისო)	სამეცნიერო ღონისძიების კონფერენციის დასახელება	ჩატარების ადგილი	თარიღი	ელექტრონული მისამართი
1						
2						
3						
4						

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

13. პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა (კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები, პროფესიული მზადების კურსები და სხვა) ბოლო 5 წლის განმავლობაში (ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან)

პროფესიული განვითარების ღონისძიებების დასახელება (კურსი/ტრენინგი/სხვა დასახელება)	გამართვის ადგილი/ფორმატი	გამართვის თარიღი	დაფინანსების წყარო (დაწესებულება- ბსუ ან სხვა)	შენიშვნა

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

14. პატენტები (გამოგონებები):

№	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის გაცემის წელი	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

15. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

№	გრანტის/პროექტის დასახელება	გრანტის გამცემი/დონორი ორგანიზაცია	გრანტის მიმღები/განხორციელების ადგილი (თავად პროფესორი ან დაწესებულების დასახელება)	სტატუსი/როლი/ფუნქცია-მოვალეობა პროექტში	პროექტის განხორციელების წლები

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

16. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან/სამეცნიერო ცენტრებთან/ უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივ სასწავლო ან/და სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.:

თანამშრომლობის ფორმა	ორგანიზაციის/უსდ-ს/სამეცნიერო ცენტრის დასახელება	თანამშრომლობის წლები /პერიოდი

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

17. პროფესორის (ატესტაციას დაქვემდებარებული პირის) სხვა სახის აქტივობა (ჯილდო, სტიპენდია, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, უცხო ენების ცოდნა და სხვა პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობა)

№	აქტივობის დასახელება (უნარები)	შენიშვნა/დამატებითი ინფორმაცია

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

18.. ბსუ-ში ჩატარებული ბოლო კონკურის შედეგად დაკავებული პროფესორის თანამდებობაზე შესრულებული აკადემიური (შრომითი) დატვირთვა (სავალდებულო და საათობრივი) და გაფორმებული აფილირების შეთანხმება:

№	აკადემიური (შრომითი) დატვირთვა (სავალდებულო და საათობრივი)	დატვირთვის კატეგორია (ა, ბ ან გ)	აფილირებული/არააფილირებული	შენიშვნა/დამატებითი ინფორმაცია

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

19. პროფესორის (ატესტაციას დაქვემდებარებული პირის) წინასწარი/პირობითი განაცხადი ბსუსთან აფილირების შესახებ (შენიშვნა: მონიშნეთ შესაბამისი ველი და შეავსეთ შესაბამისი გრაფა):

ვაცხადებ თანხმობას, ატესტაციის გავლის შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი განვსაზღვრო ჩემს ძირითად სამუშაო ადგილად და სრულად შევასრულო ამ უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირისათვის განსაზღვრული შრომითი (აკადემიური) დატვირთვა;

20. კონკურსანტის განაცხადი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე:

„თანახმა ვარ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების მიზნით და შრომითი ურთიერთობის პერიოდში (მათ შორის აფილირების წესის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად ან უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე).

.....
 ატესტაციას დაქვემდებარებული პირის სახელი, გვარი
 და ხელმოწერა
 ანკეტის წარმოდგენის თარიღი -----

„ბსუ-ს პროფესორის ატესტაციის გამოცხდების შესახებ“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის N06-01/140 დადგენილების
დანართი N2

ბსუ-ს პროფესორის ატესტაციის კრიტერიუმები

1. ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ არჩეული პირისათვის 5 წელიწადში ერთხელ ატესტაციის ჩატარების მიზნით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული ატესტაციის კრიტერიუმები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას და ბსუ-ში აკადემიური საქმიანობის შეფასებისათვის ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ პირობებს/შეფასების კომპონენტებს, რაც შეესაბამება **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს“**, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ **„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესს“** და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებით დამტკიცებულ **„ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესს“**.

2. უვადოდ არჩეული ბსუ-ს პროფესორი შეიძლება შეფასდეს, როგორც „შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“ შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

2.1. აფილირების შეთანხმება აქვს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;

2.2. აქვს კლინიკური დისციპლინების სწავლების სულ მცირე 6 წლის პედაგოგიური გამოცდილება, ხოლო კლინიკური საქმიანობის - სულ მცირე ბოლო 9 წლის გამოცდილება;

2.3. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს:

ა) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის მიერ;

ან

ბ) მაღალრეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal&Country Rank, Research Gate-ის მიერ;

2.4. ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი საკონფერენციო თეზისები, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

2.5. ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს:

ა) დაფინანსებულ საერთაშორისო სამეცნიერო გრანტში;

ან

ბ) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტში;

2.6. ბოლო 10 წლის განმავლობაში დაკავებული თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ხელმძღვანელობდა დოქტორანტს/დოქტორანტებს, რომელსაც/რომლებსაც 2023 წლამდე მინიჭებული ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

2.7. აქვს მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის

გამოცდილება;

2.8. მომზადებული აქვს დაკავებული თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით სახელმძღვანელო;

2.9. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.).

3. პროფესორი, რომელიც წინამდებარე კრიტერიუმებიდან 2.1. ან 2.2. კვპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმში მიიღებს შეფასებას „არ შეესაბამება“ ან „ნაწილობრივ შეესაბამება, საბოლოო დასკვნით უნდა შეფასდეს „არ შეესაბამება“ და მასთან შეწყვეტილი უნდა იქნეს შრომითი ხელშეკრულება.

(შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტის შეფასების კრიტერიუმების გრაფებში მითითებული თარიღები აითვლება ბსუ-ს პროფესორის თანამდებობაზე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან).

„ბსუ-ს პროფესორის ატესტაციის გამოცხადების შესახებ“
 ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 დეკემბრის N06-01/140 დადგენილების
 დანართი N3

ატესტაციას დაქვემდებარებული პროფესორის შეფასების ფორმა

სახელი და გვარი	კახაბერ ქაშიბაძე
სამუშაო ადგილი (აკადემიური თანამდებობა, ფაკულტეტი, დარგობრივი დეპარტამენტი და საკონკურსო მიმართულება)	ბსუ-ს პროფესორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, კლინიკური მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი

N	ატესტაციას დაქვემდებარებული პროფესორის შეფასების კრიტერიუმები	შესაბამება	ნაწილობრივ შესაბამება	არ შესაბამება
1	აფილირების შეთანხმება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან			
2	ა) კლინიკური დისციპლინების სწავლების სულ მცირე 6 წლის პედაგოგიური გამოცდილება ბ) კლინიკური საქმიანობის - სულ მცირე ბოლო 9 წლის გამოცდილება			
3	ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული: ა) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის მიერ; ბ) მაღალრეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal&Country Rank, Research Gate-ის მიერ;			
4	ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი საკონფერენციო თეზისები, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;			
5	ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს: ა) დაფინანსებულ საერთაშორისო სამეცნიერო გრანტში; ან ბ) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტში;			
6	ბოლო 10 წლის განმავლობაში დაკავებული თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ხელმძღვანელობდა			

	დოქტორანტს/დოქტორანტებს, რომელსაც/რომლებსაც 2023 წლამდე მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი			
7	აქვს მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება			
8	მომზადებული აქვს დაკავებული თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით სახელმძღვანელო			
9	თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.).			
10	ატესტაციას დაქვემდებარებული პროფესორის პროფილის შესაბამისი სხვა მახასიათებლები (მონაცემები/ინფორმაცია):			
დასკვნა (საერთო შეფასება):				